საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. №48-ში, მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. №48-ში, მრავალფუნქციური შენობა შედგება: ავტოფარეხის 1 მიწისქვეშა, ნაწილობრივ 2 სართულიანი საოფისე სართულისა და 8 საცხოვრებელი სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

- საანგარიშო სეისმურობა - 8 ბალი;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2.

შენობის კონსტრუქციის გაანგარიშება შესრულებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2011“-ის საშუალებით, რომელიც ეყუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

შენობისათვის საძირკვლის ფუძედ მიღებულია მსხვილნატეხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი კენჭნარით, ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, კენჭების მინარევიანი ქვიშის თხელი ოშვიათი ლინზებით, საანგარიშო წინაღობით R_0=5,0 კგძ/სმ^2.

შენობის საძირკვლის ტიპად მიღებულია საძირკვლის მონოლითური ფილა h=80 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასი (სვეტები, რიგელები) და დიაფრაგმები (კიბის უჯრედის შემომსაზღვრელი).

სვეტები (50X80, 50X70, 50X60, 50X50) სმ და რიგელები (50X60, 50X50, 45X50, 40X50, 55X50) სმ.

დიაფრაგმები - სისქით 20 სმ.

კარკასის შევსება – წვრილი ბლოკით.

სართულშუა გადახურვები – რკინაბეტონის მონოლითური ფილა, h=16 და 20 სმ.

კიბეები – რკინაბეტონის მონოლითური, ჩანებზე სისქით 16 სმ.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით. აქედან გამომდინარე, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია.

ექსპერტი, საკონსტრუქტორო
განყოფილების უფროსი ш. დოლიძე

22.08.2016წ.